ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ჯანმრთელობისა და სოციალური
დაცვის სამინისტრო
GEORGIA
AUTONOMOUS REPUBLIC OF AJARA MINISTRY OF HEALTH AND SOCIAL AFFAIRS

5276-05-2-202208261429

https://edocument.ge/AdjaraGov/public

N 05/5276
26/08/2022

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობის
დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის
თავმჯდომარეს ბატონ ილია ვერძაძეს

ბატონო ილია,

თქვენს მიმდინარე წლის 10 აგვისტოს N09-02-16/496 წერილით წარმოდგენილი კორესპონდენცია განხილული იქნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ. სამინისტრო მიესალმება ყველა იმ გადაწყვეტილებას, რომელიც გაზრდის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის ეფექტიანობას და საჭიროებებზე მორგებული გარემოს ხელმოსაწვდომობას. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია თქვენი გადაწყვეტილება შშმ პირთათვის გარემოს ხელმისაწვდომობის თემატური მოკვლევის თვალსაზრისით. ამასთან, მოგეხსენებათ, რომ სამინისტროს სერვისები თანაბრად ხელმისაწვდომია შშმ პირებისათვის. სამინისტრო შშმ პირებისათვის ახორციელებს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ დახმარების პროგრამებს. სამედიცინო და სარეაბილიტაციო მომსახურებაზე ფინანსური ხელმისაწვდომობის გარდა, გადასცემს სხვადასხვა დამხმარე საშუალებებს, რაც ხელს უწყობს შშმ პირების დამოუკიდებელი ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას და საზოგადოებაში ინტეგრაციას. მიუხედევად იმისა, რომ საკანონმდებლო დონეზე მოწესრიგებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის მექანიზმები და სახელმწიფო ხელს უწყობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების რეალიზებას, უზრუნველყოფს მათი პიროვნული ღირსების დაცულობას, გარემო სრულად არ არის ადაპტირებული და საჭიროებს ერთობლოვ კომპლექსურ მიდგომას საჯარო და კერძო სექტორის მხრიდან. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ,,შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონი ადმინისტრაციულ ორგანოს ავალდებულებს, რომ უზრუნველყოს არსებული და მშენებარე შენობა-ნაგებობებისა და სხვა სახის ინფრასტრუქტურის უნივერსალური დიზაინის დანერგვა ან/და უნივერსალური დიზაინის შესაბამისად ადაპტირება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის, თავისი მმართველობის სფეროში მოქმედი ყველა დაწესებულების სრული მისაწვდომობის უზრუნველსაყოფად.

6010 ქ. ბათუმი, აკადემიკოს მამია კომახიძის ქ №119
№119 acad. Mamia Komakhidze str. BATUMI
ტელ.\ფაქსი: (0-422) 24-79-71
tel . (0-422) 24-79-02

უნდა აღინიშნოს, რომ აჭარაში მოქმედი საჯარო დაწესებულებათა შენობა-ნაგებობების უმრავლესობა არ არის სრულყოფილად ადაპტირებული, რაც საჭიროებს შესაბამის რეაგირებას. ამასთან, ზემოაღნიშნული კანონი, ასევე ავალდებულებს ადმინისტრაციულ ორგანოს, რომ უზრუნველყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის თავის სისტემაში არსებული ყველა შესაბამისი სერვისის სრული ხელმისაწვდომობა, შესაბამის საჭიროებებზე მორგებული, ადაპტირებული პროგრამებისა და მასალების (მათ შორის, აუდიოწიგნი, ბრაილის შრიფტით დაბეჭდილი წიგნი, სურდოთარგმანი, სუბტიტრი) შეთავაზების ჩათვლით; მიუხედავად იმისა, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები სარგებლობენ საჯარო სექტორთა მოქმედი სერვისების უმრავლესობით, შესამუშავებელია მათთვის მისაღები ფორმით მიწოდების მექანიზმები. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია უწყებათაშორისი შეხვედრების ორგანიზება, არსებული მდგომარეობის ერთობლივად განხილვა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება.

პატივისცემით,

ნინო ნიჟარაძე

მინისტრი

ხელმძღვანელობა